პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

23 სექტემბერი შაბათი, 1961 წ.
№ 148 (1784)
გამოვემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

## ფეხბურთი

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 23 სექტემბრისათვის

I-X ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 24 | 17 | 2 | 5 | 58—27 | 36 |
| „დინამო" (კიევი) | 24 | 15 | 6 | 3 | 46—20 | 36 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 24 | 14 | 5 | 5 | 49—26 | 33 |
| ც ს კ ა | 24 | 15 | 3 | 6 | 57—35 | 33 |
| „დინამო" (თბილისი) | 24 | 12 | 6 | 6 | 44—25 | 30 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 23 | 11 | 8 | 4 | 41—27 | 30 |
| „სპარტაკი" (ერევანი) | 24 | 9 | 9 | 6 | 32—29 | 27 |
| „ავანგარდი" (ხარკოვი) | 24 | 10 | 7 | 7 | 23—21 | 27 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 23 | 9 | 6 | 8 | 33—45 | 24 |
| ს კ ა (როსტოვი) | 24 | 9 | 5 | 10 | 42—28 | 23 |

მდგომარეობა 23 სექტემბრისათვის

XI-XXII ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 26 | 12 | 7 | 7 | 44—33 | 31 |
| „შახტიორი" (სტალინო) | 26 | 9 | 8 | 9 | 33—27 | 26 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 26 | 6 | 12 | 8 | 31—40 | 24 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 26 | 8 | 8 | 10 | 33—42 | 24 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 26 | 8 | 7 | 11 | 32—35 | 23 |
| „ადმირალტეეცი" (ლენინგრადი) | 26 | 8 | 7 | 11 | 34—37 | 23 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 26 | 8 | 6 | 12 | 38—47 | 22 |
| „კაირატი" (ალმა-ატა) | 26 | 8 | 5 | 13 | 27—44 | 21 |
| „ბელარუსი" (მინსკი) | 26 | 6 | 8 | 12 | 23—36 | 20 |
| „დაუგავა" (რიგა) | 26 | 4 | 6 | 16 | 24—50 | 14 |
| „სპარტაკი" (ვილნიუსი) | 26 | 4 | 5 | 17 | 22—56 | 13 |
| „კალევი" (ტალინი) | 26 | 1 | 8 | 17 | 17—53 | 10 |

★ ★ ★

მოსკოვი. 21 სექტემბერი. დედაქალაქის „ლოკომოტივისა" და ერევნის „სპარტაკის" მატჩი მოიგეს მოსკოველმა ფეხბურთელებმა — 1:0.

* * *

XI-XXII ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების ფინალური შეხვედრების პირველი წრის უკანასკნელმა მატჩებმა, რომლებიც 21 სექტემბერს გაიმართა, მოგვცა შემდეგი შედეგები: „ნეფტიანიკი" (ბაქო)-„დინამო" (მოსკოვი) — 2:2; „სპარტაკი" (ვილნიუსი)-„კალევი" (ტალინი) — 3:1; „ზენიტი" (ლენინგრადი)-„შახტიორი" (სტალინო) — 1:1; „მოლდოვა" (კიშინიოვი)-„დაუგავა" (რიგა) — 1:0; „ბელარუსი" (მინსკი)-„ადმირალტეეცი" (ლენინგრადი) — 0:0.

## მსოფლიო ჩემპიონი ითამაშებს თბილისში

ამ რამდენიმე ხნის წინათ მოსკოვში შედგა საბჭოთა კავშირის ხელბურთის ფედერაციის პლენუმი. პლენუმზე განიხილეს ქალაქებსა და რესპუბლიკებში ხელბურთის განვითარების საკითხებს. აქ იმის შესახებაც იყო აღნიშნული, რომ რესპუბლიკათა პერიფერიებშიც იკიდებს ფეხს ხელბურთი.

საქართველოს სსრ ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ გ. შარაშიძემ საბჭოთა კავშირის ხელბურთის ფედერაციის პლენუმს მოახსენა საქართველოში ხელბურთის განვითარების მდგომარეობის შესახებ და მოსთხოვა პლენუმს, რომ უფრო ხშირად მოეწყოს ჩვენს რესპუბლიკაში საქალაქთაშორისო და საერთაშორისო შეხვედრები.

გამოქვეყნებულ იქნა საერთაშორისო შეხვედრების კალენდარული გეგმის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია სხვა საერთაშორისო შეხვედრების ჩატარებასთან ერთად, საქართველოს ხელბურთელთა საერთაშორისო შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონთან — რუმინეთის ნაკრებთან. უდავოდ ეს მატჩი დიდ ინტერესს გამოიწვევს თბილისში.

გარდა ამისა, პლენუმზე გამოითქვა აზრი, რომ ხელბურთმა დიდი პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოში, მაგრამ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში ხელბურთი რატომღაც არაა შეტანილი. ახლა, როცა ხელბურთმა, როგორც სპორტის პოპულარულმა სახეობამ, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში მოიპოვა სახელი, საჭიროა მისი ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაშიც შეტანა. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ პლენუმის წევრები.

## კიდევ 4 გუნდი „ა" კლასში

აშხაბადში დამთავრდა „ბ" კლასის წყალბურთელთა ტურნირი. შეჯიბრების დებულების თანახმად 1-4 ადგილზე გამოსული კოლექტივი გადადიოდა „ა" კლასში. შეხვედრები მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს ერევნელმა წყალბურთელებმა, რომლებმაც მოიპოვეს პირველი ადგილი. მეორე ადგილი დაიკავა ტაშკენტის „მეხნატმა", მესამე —აშხაბადის „ზახმეტმა".

მეოთხე ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ კაუნასის „ჟალგირისისა" და ალმა-ატის სკიფის გუნდები. მაგრამ ალმა-ატელმა წყალბურთელებმა თავიანთი უკანასკნელი შეხვედრა წააგეს „მეხნატთან" (3:4), ხოლო „ჟალგირისმა" დაამარცხა რიგის „დაუგავა" (5:1) და „ა" კლასში გადასულ 3 გუნდს კაუნასის „ჟალგირისიც" დაემატა.

* * *

გუშინ ლვოვში დაიწყო „ბ" კლასის წყალბურთელთა გუნდების ტურნირი. აქ გამარჯვებული 2 გუნდი მომავალი წლიდან ითამაშებს „ა" კლასის კოლექტივების ჩემპიონატში.

ვათამაშებაში სხვადასხვა ქალაქის გუნდებთან ერთად, გამოდის თბილისის „ბურევესტნიკი".



სურათზე: სპორტის ოსტატ გ. სალარაძისა და რუმინელი მოჭიდავის ს. ტამშას შეხვედრის მომენტი. რუმინელი სპორტსმენი კრიტიკულ მდგომარეობაშია. წამიც და იგი ბეჭებით შეეხება ხალიჩას. (საქართველოსა და რუმინეთის მოჭიდავეთა შეხვედრის ანგარიში იხილეთ მე-2 გვერდზე).

## ვენის ფიცარნაგზე

ვენის სპორტულ დარბაზში, „შტადტჰალეში", სადაც უნდა დაწყებულიყო მსოფლიოს პირველობის გათამაშება ძალოსნობაში, ათასობით შეკრებილი მაყურებელი გაკვირვებული იყო. მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებს შეჯიბრების დაწყებამდე „გადაუწყვეტიათ" არ გამოეფინათ გდრ-ს სახელმწიფო ალამი, რასაც, რასაკვირველია, პირველობაში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნების გუნდების წარმომადგენლების პროტესტი მოჰყვა და მაშინ მასპინძლებმა ახალი „გადაწყვეტილება" მიიღეს — ფლაგშტოკებზე არ აღმართეს არც ერთი ქვეყნის სახელმწიფო ალამი.

ძალოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატი ამ არასასიამოვნო სიურპრიზის მიუხედავად საინტერესოდ წარიმართა. უმძიმეს წონაში ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად თვლიდნენ იაპონელ ი. მიაკეს. მაგრამ პირველმა მოძრაობამ — აჭიმვამ გააქარწყლა პროგნოზები. ყველაზე მძიმე წონის დაძლევა წილად ხვდა უნგრელ ი. ფელდის— 110 კგ საბჭოთა სპორტსმენმა ვ. სტოგოვმა აჭიმა 107,5 კგ. იაპონელის შედეგია — 100 კგ. პირველი ადგილის მოპოვების მეოთხე პრეტენდენტის, ამერიკელი ჩ. ვინჩის— 102,5.

ატაცში ყველას აჯობა ი. მიაკემ, რომელმაც დაძლია 107,5 კგ. ვ. სტოგოვმა მასზე 2,5 კგ-ით ნაკლები სიმძიმე აჩვენა, ი. ფელდიმ და ჩ. ვინჩიმ ერთნაირი წონა—100 კგ დაძლიეს.

ყველაფერი დამოკიდებული იყო უკანასკნელ მოძრაობაზე—აკვრაზე. აქ სტოგოვმა დაძლია 132,5, ფელდიმ — 135 კგ. იაპონელმა მას შემდეგ, რაც დაძლია 130 კგ, მოითხოვა კიდევ 10 კგ-ით გაედიდებინათ სიმძიმე. მაგრამ მისი მიზანი—გაესწრო წინწასულებისათვის, განუხორციელებელი დარჩა. შეჯიბრება სამჭიდის ერთნაირი ჯამით—345 კგ დაამთავრეს ვ. სტოგოვმა და ი. ფელდიმ. მსოფლიო ჩემპიონი უნდა გამოევლინებია იმას თუ ამ ორ სპორტსმენს შორის, რომლის წონა ნაკლები აღმოჩნდებოდა. სასწორი ვ. სტოგოვის მხარეზე გადაიხარა, იგი 150 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა უნგრელზე და მსოფლიო და ევროპის ჩემპიონის სახელი და ოქროს მედალი მას მიენიჭა.

## ბრძოლა ლიდერობისათვის არ ცხრება

დიდი ხანია საჭადრაკო სამყაროს არ უნახავს ისეთი დაძაბული ბრძოლა ლიდერობისათვის როგორიც მიმდინარეობს ბლედის საერთაშორისო ტურნირზე. შეჯიბრების პირველ ეტაპზე მოჭადრაკეები თავაზიანად უთმობდნენ ლიდერობას ერთმანეთს, მაგრამ, როცა ისინი შეუდგნენ მარათონული დისტანციის მეორე მონაკვეთს, დაწინაურდა ამერიკელი ფიშერი. ჭაბუკი გროსმაისტერი უახლოეს მეტოქეს მხოლოდ ნახევარი ქულით უსწრებს.

XI ტურში ყველა ლიდერმა, პეტროსიანის გამოკლებით, შეხვედრა ყაიმით დაამთავრა: ფიშერმა გერმეკთან, ტალმა — გლიგორიჩთან, კერესმა — გელერთან. ყაიმი ფიქსირებულ იქნა კიდევ ოთხ—პორტიშ-დარგა, ნაიდორფ-პარმა, მატანოვიჩ — უდოვჩიჩისა და ბერტოკ — ტრიფუნოვიჩის პარტიაში. პეტროსიანმა მოუგო ოლაფსონს, ხოლო დონერმა—ივკოვს.

XII ტურშიც ზოგიერთი ლიდერის — პეტროსიანის გელერთან და გლიგორიჩის ოლაფსონთან— შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. უკეთეს პოზიციებში გადადეს პარტიები ფიშერმა — ტრიფუნოვიჩთან, ტალმა — დონერთან და კერესმა — მატანოვიჩთან. ამ დღეს ყაიმზე შეთანხმდა კიდევ ორი წყვილი ბისჰაიერ-პორტიში და გერმეკ-პახმანი.

XII ტურის შემდეგ ფიშერს 8 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, პეტროსიანს —8 ქულა, ტალსა და კერესს—7,5 ქულა და თითო გადადებული პარტია თვითეულს, გლიგორიჩს —7 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

## კალათბურთი

მოსკოვი. 20 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის 1961 წლის ჩემპიონმა, დედაქალაქის არმიელთა კოლექტივმა თავის მოედანზე მიიღო რიგის სკა. შეხვედრა მოიგეს ლატვიელმა კალათბურთელებმა—63:61.

ლენინგრადი. 20 სექტემბერი. აქ გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო პირველობის კალენდარული შეხვედრა. თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და კიევის სკიფი. მატჩი მოიგეს ლენინგრადელმა კალათბურთელებმა — 80:74.

### გათამაშების ცხრილი

ვაჟები

მდგომარეობა 23 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 14 | 12 | 2 | 12 |
| სკა რიგა | 14 | 10 | 4 | 10 |
| „დინამო" თბილისი | 13 | 9 | 4 | 9 |
| „დინამო" მოსკოვი | 14 | 8 | 6 | 8 |
| სკიფი კიევი | 13 | 7 | 6 | 7 |
| „ჟალგირისი კნ. | 14 | 3 | 11 | 3 |
| „ბურ". ლდ. | 14 | 3 | 11 | 3 |
| „სპარტაკი" ლდ. | 14 | 3 | 11 | 3 |



# ძალებს სცდიან სტუმრებიც

დასასრულს უახლოვდება თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონის მძლეოსნობის სექტორების რეკონსტრუქცია. ჯერ კიდევ არაა მზად სატყორცნი და სახტომი სექტორები, ამიტომაც რესპუბლიკის პირად-გუნდური შეჯიბრება დედაქალაქის სამ სტადიონზე ტარდება. შეხვედრები მთელ რიგ სახეობებში „დინამოსა" და ლენინის სახელობის სტადიონის სექტორებზე გაიმართა, რამაც ერთგვარად შეანელა მაყურებელთა ინტერესიც..

ეს შეჯიბრება სამატჩო შეხვედრის ხასიათსაც ატარებს, რადგან რესპუბლიკურ ტურნირში კონკურსგარეშე ძალებს ცდიან ლიტველი მძლეოსნები, რომლებიც საკავშირო შეჯიბრების წინ საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან თბილისში და უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ სახეობებში ცუდად როდი გამოდიან. მაგალითისათვის ისიც კმარა თუ ვიტყვით, რომ 110 მეტრზე თარჯრბენში ვ. ბარიკუნასმა ისეთივე შედეგი (15,1 წ.) აჩვენა, როგორიც ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონმა მ. ტულუშმა, ხოლო 400 მეტრზე რბენაში საქართველოს ჩემპიონზე — მ. კიუტზე უკეთესი შედეგი ჰქონდა ა. იანიშევიჩუსს — 50,7 წ.

სტუმრებს დარჩათ უპირატესობა ვაჟთა შორის ბირთვის კვრაშიც. საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა მახარაძელმა ვ. ბლიაძემ, რომელმაც წინასწარ შეჯიბრებაში აჩვენა რესპუბლიკის სპორტსმენთა შორის საუკეთესო შედეგი — 15 მ 86 სმ და 6 სანტიმეტრით გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი, მაგრამ 1,59 მ-ით წააგო ლიტველ ა. ვარანაუსკასთან. მართალია, ფინალში ორივემ გააუარესა შედეგი (15,70 და 17,29 შესაბამისად), მაგრამ უპირატესობა მაინც ლიტველს დარჩა. რესპუბლიკურ პირველობაზე მომდევნო — მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ო. გოშაძე — 15.45 მ და მ. ოყროშიძე — 15.31 მ (ორივე თბილისიდან). ეს შედეგებიც პირველი თანრიგისაა და ჩათვლას მოგვცემს საკავშირო ჩემპიონატში.

რესპუბლიკური პირველობის მეორე დღეს ჩვენი სპორტსმენების მიერ ნაჩვენები იქნა ოსტატის მხოლოდ ერთი და პირველი თანრიგის რამდენიმე შედეგი, მაგრამ თვით

**საქართველოს პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში**

ბრძოლის მსვლელობამ ცხადყო სპორტსმენთა ცუდი ფიზიკური და მორალური მზადყოფნა. მაგალითი საკმარისზე მეტია. აი ისიც: 80 მ თარჯრბენის ფინალში სტარტზე სამი სპორტსმენი მოეწყო — თ. როუმანოვა (აჭარა), რ. ქოჩლაძე და ნ. გაბეხაძე (ორივე თბილისიდან). პირველსავე თარჯზე განიცადა მარცხი რ. ქოჩლაძემ, მან რატომღაც აღარ ისურვა ბრძოლის გაგრძელება და ბილიკიდან გამოვიდა, ჩვენი აზრით, ყოველგვარი გაუმართლებელი მიზეზის გარეშე. ამიტომაც მხოლოდ ორი საპრიზო ადგილი გათამაშდა. ჩემპიონობა მოიპოვა თ. როუმანოვამ — 11,2 წ და 0,3 წამით აჯობა ნ. გაბეხაძეს. ასევე მოიქცა ნ. ნოზაძეც, რომელმაც 200 მ ქალთა ფინალური გარბენის ფინიშამდე 60 მეტრით ადრე სირბილი შეწყვიტა და მოწინააღმდეგეთ კიდევ უფრო გაუადვილა გამარჯვება. ალბათ სპორტსმენთა ამგვარ დამოკიდებულებასაც უნდა მიეწეროს ის, რომ ფინალში მხოლოდ ერთმა — გამარჯვებულმა ა. ოვივიანმა აჩვენა II თანრიგის შედეგი (!).

ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში სპორტის ოსტატ ლ. ტულუშს (აჭარა) გამარჯვებისათვის ბრძოლა ძირითადად ლიტველ ი. დაუგირტესა და თბილისელ ი. მხეიძესთან ჰქონდა, მაგრამ მათ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მას და დამარცხდნენ. ტულუშმა ფინალში აჩვენა 49 მ 68 სმ (ოსტატის შედეგი) და მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონობა. მეორე პრიზი მოიპოვა მხეიძემ — 44 მ 09 სმ, მესამე იყო — ქ. კახიშვილი (თბილისი I) — 43.76 მ (დაუგირტეს შედეგია 44.34 მ).

ე. ლომთაძემ კიდევ ერთი პირველი ადგილი მოიპოვა, ამჯერად 200 მეტრზე რბენაში — 22.3, რაც მხოლოდ 0,1 წამით აღემატება პირველი თანრიგის შედეგს. ზუსტად ამდენივე დააკლდა პირველ თანრიგამდე რესპუბლიკური პირველობის მეორე პრიზიორს ა. სობაკინს — 22,5 წ. ფინიშზე მესამე იყო რ. სერებრიანი — 22,8 წ.

**რ. ტრაპაიძე,**
მთავარი მწვრთნელი მძლეოსნობაში.
**ო. გელაშვილი.**

სხვა შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: **ვაჟები:** 200 მ. თარჯრბენი—მ. ტულუში (აჭარა)—26,0 წ. ბადროს ტყორცნა — გ. გუდაშვილი (თბილისი I)—48 მ 90 სმ (წინასწარში 51 მ 40 სმ); 5000 მ — ვ. კომაროვი (თბილისი I)—15.15,6; ჰოკით ხტომა—ვ. ვენცკევიჩი (თბილისი I) — 410 სმ.

**სურათზე:** 100 მეტრზე ვაჟთა შორის გამარჯვებულნი: მარცხნიდან — ა. ბედუკაძე (მეორე ადგილი), ე. ლომთაძე (პირველი ადგილი) და ა. სობაკინი (მესამე ადგილი).

ფოტო ვ. სუხოტინისა.

## შესანიშნავი შედეგი

როგორც ვიტყობინებოდით, ლონდონში „უაიტ-სიტის" სტადიონზე გამართულ ინგლისისა და რსფსრ-ს მძლეოსანთა მატჩში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. პირადში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია თ. პრესმა, რომელმაც ბადრო ტყორცნა 58 მ 98 სმ-ზე და 92 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი, რომელიც სოფიაში, უნივერსიადაზე დაამყარა.

## ფიდეს XXXII კონგრესზე

სოფიაში (ბულგარეთი) მუშაობა დაიწყო საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მორიგმა XXXII კონგრესმა. როგორც წესი, კონგრესმა პირველ საკითხად მოისმინა საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციები და დაამტკიცა ისინი. საბჭოთა გროსმაისტერების ოჯახს შეემატა კიდევ ერთი წევრი მოსკოველი ე. ვასიუკოვის სახით, რომელმაც ეს მაღალი წოდება მოიპოვა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბის II საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვებით ვ. სმისლოვთან ერთად. გროსმაისტერის წოდება მიენიჭა აგრეთვე ავსტრიელ კ. რობაჩს, ბულგარელ მ. ბობოცევს და უნგრელ ლ. პორტიშს.

გაიზარდა საერთაშორისო ოსტატების რიცხვი საბჭოთა კავშირში ამ წოდების მინიჭებით ლ. პოლუგაევსკისა და ა. სუეტინისათვის. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარეს ვ. ვინოგრადოვს (მოსკოვი) და თბილისელ ქ. გოგიავას.

კონგრესმა მიიღო აგრეთვე საჭადრაკო კომპოზიციის კომისიის რეკომენდაციები და საერთაშორისო ოსტატის წოდება საჭადრაკო კომპოზიციაში მიანიჭა საბჭოთა კომპოზიტორებს ვ. ჩეხოვერს, ვ. რუდენკოსა, და ლ. ზაგორუიკოს. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება საჭადრაკო კომპოზიციაში მიენიჭათ გროსმაისტერ დ. ბრონშტეინსა და ა. ბატურინს.

მოისმინა რა ფიდეს შეჯიბრებათა ანგარიშები, კონგრესმა იმსჯელა მსოფლიო პირველობის სხვადასხვა შეჯიბრების ვადების შესახებ.

ქალთა პრეტენდენტთა ტურნირი, რომელშიც 18 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას, გაიმართება იუგოსლავიაში 1961 წლის 27 ოქტომბრიდან და გაგრძელდება ერთ თვეს. ვაჟთა პრეტენდენტთა ტურნირი მოეწყობა 1962 წლის მაის-ივნისში ანტილიის კუნძულებზე. მსოფლიოს ჭაბუკთა 1963 წლის პირველობის ჩატარება დაევალა საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციას. XV საჭადრაკო ოლიმპიადა მოეწყობა ბულგარეთში (სოფიასა ან ვარნაში) მომავალი წლის შემოდგომაზე. ქალთა მსოფლიო გუნდური პირველობაც, რომელიც ამას წინათ ჩაშალეს ჰოლანდიის მმართველმა წრეებმა, იყო კონგრესის მსჯელობის საგანი, მაგრამ სად და როდის გაიმართება იგი, ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

კონგრესი განაგრძობს მუშაობას.

## საქართველო — რუმინეთი



— ტოკიოს ოლიმპიური თამაშები! ეს არის ჩვენი უახლოესი მიზანი და მთავარი საზრუნავი, — განაცხადა რუმინეთის მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრები გუნდის მწვრთნელმა საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის შემდეგ. რუმინეთის სპორტსმენები ჩვენს რესპუბლიკას ეწვივნენ მტკიცე გადაწყვეტილებით — გადაიღონ ყველაფერი კარგი, რაც კი აქვთ საბჭოთა მოჭიდავეებს. ამიტომ იყო, რომ სტუმრების მწვრთნელმა, სპორტის სასახლეში ჩატარებული ორი შეხვედრის მანძილზე გაავსო თავისი ბლოკნოტი ათასგვარი შენიშვნებით.

რუმინელები თბილისში ახალგაზრდული გუნდით ჩამოვიდნენ — მოჭიდავეთა უმრავლესობის ასაკი 20 წელს არ აღემატებოდა და უნდა ითქვას, რომ ჩატარებულ ბრძოლათა შედეგების მიუხედავად, მათ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს. ფიზიკური ძალა — აი რა იყო რუმინელთა მთავარი კოზირი ამ შეხვედრებში, ძალა, რომელიც სამწუხაროდ, არ იყო ტექნიკის ექვივალენტური.

პირველ შეხვედრაში რუმინელი მოჭიდავეების მეტოქეები იყვნენ საქართველოს მეორე ნაკრების წევრები. ეს შეხვედრა ჩვენმა სპორტსმენებმა მოიგეს ანგარიშით 7:1. ასეთივე შედეგით დამთავრდა სტუმრების გამოსვლა საქართველოს პირველი გუნდის წინააღმდეგ. ორი ქულა თავის გუნდს მოუტანა საშუალო წონის მოჭიდავემ ფ. ბალამ.

პირველ ბრძოლაში გ. თევზაძის წინააღმდეგ, რუმინელმა გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია ერთადერთი ილეთით, რომელსაც იგი იყენებდა სწრაფად და დროულად — ფეხებში უეცარი შევარდნით, მან რამდენიმეჯერ გადაიყვანა თევზაძე ჩოქბჯენში და დააგროვა გამარჯვებისათვის საჭირო ქულათა რაოდენობა.

იმავე ტაქტიკით ააგო რუმინელმა ბრძოლა შ. ლომიძის წინააღმდეგ და ამჯერადაც წარმატებას მიაღწია. მართალია, ერთხელ ფ. ბალა თვითონ აღმოჩნდა არახელსაყრელ მდგომარეობაში, მაგრამ შ. ლომიძემ ბოლომდე ვერ გამოიყენა იგი და დამარცხდა ქულებით. ეს იყო სტუმრების ეპიზოდური წარმატება ორი დღის მანძილზე.

დანარჩენ შეხვედრებში საქართველოს სპორტსმენთა უპირატესობა აშკარაზე აშკარა იყო. პირველ დღეს საქართველოს მეორე გუნდის ორმა წევრმა წმინდა გამარჯვებას მიაღწია. ზ. მონასელიძემ (უმჩატესი წონა) დაამარცხა გ. ტაპალაგა, ჯ. მახარაძემ კი (მსუბუქი წონა) — პ. ჩშიშიუმარუ. დანარჩენი ბრძოლები საქართველოს მოჭიდავეებმა მოიგეს ქულებით. ი. ვალიშვილმა (მჩატე წონა) დაამარცხა — ი. ვასილე, ნ. ხოხაშვილმა (ქვემსუბუქი წონა) — პ. პოალელუგი, ჯ. დავლიანიძემ (ქვესაშუალო წონა) — ს. ტამპა, ნ. გოგიბედაშვილმა (ქვემძიმე წონა) — გ. გრიშანი და ა. კიკნაძემ (მძიმე წონა) — ა. ბალოგი.

არაჩვეულებრივად შედეგიანი გამოდგა საქართველოს პირველი ნაკრების წევრთა გამოსვლა, რომლებმაც შვიდი შეხვედრა მოიგეს წმინდათ. ზ. შეყრილაძემ ექვსი წუთის მანძილზე გაინაღდა გამარჯვებისათვის საჭირო ქულები, მაგრამ იგი ამას არ დაჯერდა. მეშვიდე წუთზე მან მეტოქე (გ. ტაპალაგა) ბეჭებზე დააწვინა. ასეთსავე წარმატებას მიაღწია ზ. შეყრილაძის ძმამ აზურიმ მჩატე წონაში. მეორე წუთზე, როდესაც ი. ვასილე ჩოქბჯენში ილეთის ჩატარებას აპირებდა, შეყრილაძემ ოსტატურად დაიჭირა მეტოქე კონტრილეთზე და წმინდა გამარჯვებას მიაღწია. მეექვსე წუთზე მოიგო თავისი ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონმა ვ. რუბაშვილმა პ. პოალელუგის წინააღმდეგ.

აგრესიულად ჩაატარა შეხვედრა ზ. ბერიაშვილმა მსუბუქ წონაში, მან რამდენიმეჯერ ჰაერში აიტაცა პ. ჩშიშიუმარუ და მეხუთე წუთზე ხიდზე დააყენა იგი. რუმინელმა კრიტიკულ მდგომარეობაში თითქმის ერთი წუთი გასძლო, მაგრამ ბოლოსდაბოლოს „გატყდა მისი ხიდი" და იგი ბეჭებით შეეხო ხალიჩას.

ხანმოკლე გამოდგა ქვესაშუალო წონის სპორტსმენთა გ. სალარაძისა და ს. ტამპას ორთაბრძოლა. ქართველმა მოჭიდავემ, პირველსავე წუთზე ფეხებში შევარდნით ხიდზე დააყენა მეტოქე და შემდეგ წმინდა გამარჯვებას მიაღწია. ნ. გოგიბედაშვილმა ჯეროვანი დასკვნები გააკეთა გ. გრიშანთან პირველი შეხვედრის შემდეგ (ეს ბრძოლა მან ქულებით მოიგო). განმეორებით ბრძოლაში მან მწვავე შეტევები წამოიწყო. ერთ-ერთი შეტევის შემდეგ რუმინელი ხიდზე აღმოჩნდა, მაგრამ „გამოძვრა" მდგომარეობიდან. ხელახალი შეტევა უფრო შედეგიანი გამოდგა. გ. გრიშანი უხალისოდ დაეშვა ლეიბზე ბეჭებით. სპრინტერულ დროში დაამთავრა შეხვედრა ო. კანდელაკმა ა. ბალაგის წინააღმდეგ. ერთი წუთი არც კი იყო გასული, რომ მსაჯმა ხელი აუწია ო. კანდელაკს წმინდა გამარჯვების ნიშნად.

**ნ. ახვლედიანი**

* * *

**სურათზე:** ზ. შეყრილაძემ აიტაცა თავისი მოწინააღმდეგე გ. ტაპალაგა. იგი ემზადება ახალი გდებისათვის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



# ფეხბურთი მოედნებზე







ამ სურათებზე არ ჩანს კომბინაციის დაწყებითი ფაზა და მისი ავტორი. მკითხველმა იგი დაახლოებით ასე უნდა წარმოიდგინოს: მარცხენა ფრთიდან მესხი უსხლტება თავის დარაჯს, დუბინსკის, მის საშველად მოსულ დოროდნიხს და აწოდებს ბურთს კარის გასწვრივ. ბურთს ეუფლება დათუნაშვილი, რომელიც ზუსტი დარტყმით მას კარისაკენ აგზავნის (სურათი № 1).

არმიელთა მეკარე ივანოვი ამ კომბინაციას მხოლოდ თვალს აყოლებს, რადგან მან დასაწყისიდანვე არახელსაყრელი პოზიცია დაიკავა. მეკარის ადგილს იკავებს მოსკოველთა ერთ-ერთი მცველი, მაგრამ მას ხომ ხელით თამაში არ შეუძლია. იგი მარცხენა ფეხით ცდილობს ბურთს შეუცვალოს მიმართულება, მაგრამ ამაოდ.

ბურთმა გადალახა კარის საკონტროლო ხაზი და გაეხვია ბადეში (სურათი № 2). ასე იქნა გატანილი პირველი ბურთი მოსკოვის ცსკა-ს კარში. ბარქაია და კალოევი ვერ ფარავენ გოლის გატანით გამოწვეულ სიხარულს და მირბიან მისი ავტორისაკენ (სურათი № 3). არმიელებს თამაშის ცენტრიდან დაწყების მეტი აღარაფერი რჩებათ.

ფოტოები მ. ზარგარიანისა.

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში I და II ქვეჯგუფის გუნდებისათვის. მწვავე ბრძოლაში ჩატარდა მატჩი ცხაკაიაში, სადაც ადგილობრივმა „განთიადმა“ მიიღო ქვეჯგუფის ლიდერი — ლანჩხუთის „გურია“. პირველ ტაიმში მოწინააღმდეგეებმა ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა. მატჩის შედეგია 2:1 ლანჩხუთელთა სასარგებლოდ.

გორში ადგილობრივმა „დილამ“ მიიღო თბილისის „სპარტაკი“. გოლის გატანის არა ერთი მომენტი შეიქმნა ორივე გუნდის კართან, მაგრამ მასპინძელთა დარტყმები არაზუსტი იყო, ხოლო მათმა მეკარემ დ. სანოძემ რამდენჯერმე იხსნა გუნდი აშკარა გოლისაგან. მატჩი დამთავრდა ფრედ—0:0.

* * *

დაძაბული ბრძოლით ხასიათდებოდა სამტრედიის „ლოკომოტივისა“ და ახალციხის „მესხეთის“ გუნდების მატჩი სამტრედიაში. ანგარიში პირველ ნახევარში გახსნა რ. აკოპიანმა (ახალციხე). შესვენების შემდეგ „ლოკომოტივის“ მარჯვენა გარემარბმა ა. ყურულაშვილმა გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:1. აღსანიშნავია ახალციხელ ფეხბურთელთა უდისციპლინობა, რისთვისაც ორი ფეხბურთელი გაძევებულ იქნა მოედნიდან, მათ შორის ტ. ჯორბენაძე — მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის.

* * *

ზუგდიდის „ოდიშის“ აშკარა უპირატესობით ჩატარდა შეხვედრა ფოთში ადგილობრივ „მეზღვაურთან“. ზუგდიდელებმა გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 7:0.

* * *

სტალინირში თამაშობდნენ „სპარტაკი“ და თბილისის „ისანი“. შესვენების შემდეგ სტალინირელები უკეთესად თამაშობდნენ, ვიდრე სტუმრები. მათ ორი გოლი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 2:0.

* * *

თანაბარი ბრძოლით აღინიშნა მატჩი წულუკიძის „ფერქარსა“ და ქუთაისის „მშენებელს“ შორის. შესვენებამდე მოწინააღმდეგეებმა თითო გოლი გაიტანეს. მეორე ნახევარში მასპინძლებმა კიდევ ერთხელ აიძულეს ქუთაისელები თამაში დაეწყოთ ცენტრიდან. 2:1 „ფერქარის“ სასარგებლოდ, ასეთია მატჩის საბოლოო შედეგი.

* * *

ქობულეთში ადგილობრივმა „შუქურამ“ მიიღო ხობის „კოლხიდა“. ქობულეთელები ყველა რგოლში სჯობდნენ მოწინააღმდეგეებს და უკვე თამაშის პირველ ნახევარში წაიყვანეს ანგარიში — 3:1. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს, ხობელებმა კი ერთი. შეხვედრა დამთავრდა „შუქურას“ გამარჯვებით — 5:2.

* * *

კიდევ ორი ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში სოხუმის „დინამომ“, რომელმაც გეგეჭკორში დაამარცხა ადგილობრივი „სალხინო“. დინამოელებმა პირველ ტაიმში ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა. შესვენების შემდეგ ჯერ ვ. თურქიამ, მერე ვ. დელბამ გაიტანეს თითო გოლი და გამარჯვება მოუტანეს სოხუმის გუნდს — 2:0.

* * *

კარგად ითამაშა ტყიბულის „მეშახტემ“ თბილისის არმიელ ფეხბურთელთა წინააღმდეგ. მას უკვე




შესვენებამდე მიჰყავდა ანგარიში — 2:0, რასაც მატჩის ბოლომდე კიდევ ერთი გოლი დაუმატა და აიძულა სტუმრები დამარცხებულებს დაეტოვებინათ მოედანი—0:3. ამ მოგებით ტყიბულელებმა საგრძნობლად გაიუმჯობესეს ქვეჯგუფში გამარჯვების შანსები, რადგან მახარაძელებმა („კოლმეურნე“) კიდევ ერთი დამარცხება განიცადეს, ამჯერად ჭიათურაში, „მაღაროელთან“ შეხვედრის დროს. ერთადერთი გოლი „კოლმეურნის“ კარში გაიტანა ლ. ლებანიძემ.

* * *

ბათუმის „განთიადი“ და თელავის „კოლმეურნე“ თამაშობდნენ თელავში. შესვენებამდე გადამწყვეტი უპირატესობა ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა და მეტოქეები თითო გოლის გატანით დაკმაყოფილდნენ. მეორე ნახევარში ინიციატივა ხელთ იგდეს თელაველმა ფეხბურთელებმა და შეხვედრის ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს — 3:1.

* * *

კიდევ ერთი დიდი ანგარიშით მოგება იქნა ფიქსირებული ამ ტურში. ჩოხატაურში ადგილობრივმა „ბახმარომ“ მეორე ტაიმში სუსტად ითამაშა ქუთაისის „იმერეთის“ წინააღმდეგ. მასპინძლები პირველ ნახევარს იგებდნენ (2:1), მაგრამ შესვენების შემდეგ ქუთაისელებს 4 გოლის გატანის საშუალება მისცეს და დამარცხდნენ.

## ზონებში გამარჯვებულთა შორის

10 სექტემბერს დაიწყო საქართველოს 1961 წლის პირველობაზე მეორე ჯგუფის ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური შეხვედრები. 19 გუნდი დაყოფილია ორ ქვეჯგუფად. ქვეჯგუფებში შეხვედრები ტარდება ორ წრედ. მოგვყავს თამაშების ტექნიკური შედეგები:

### I ქვეჯგუფი

**10 სექტემბრის მატჩები:** ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო (თბილისი)-„განთიადი“ (კასპი) —3:1; „მეტალურგი“ (ზესტაფონი)-„კახეთი“ (გურჯაანი) — 2:1; „შირაქი“ (წითელწყარო)-ელმავალმშენებელი ქარხანა (თბილისი) — 2:0; „ქსანი“ (ლენინგორი)-ადგილმრეწველობა (თეთრი წყარო) — 2:1; ავტოსარემონტო კანტორა (გუდაუთა)-„აბული“ (ახალქალაქი) — 2:2.

**14 სექტემბრის მატჩები:** „განთიადი“-„მეტალურგი“ — 1:3; ელმავალმშენებელი ქარხანა-„ქსანი“ — 7:0; ადგილმრეწველობა (თეთრი წყარო)-„აბული“ — 1:3; ავტოსარემონტო კანტორა-ადგილმრეწველობის სამმართველო (თბილისი) — 0:5.

**17 სექტემბრის მატჩები:** „მეტალურგი“-ადგილმრეწველობის სამმართველო (თბილისი) — 3:2; „შირაქი“-„განთიადი“ — 2:2; „ქსანი“-„კახეთი“ — 0:5; „აბული“-ელმავალმშენებელი ქარხანა — 1:0; ადგილმრეწველობა (თეთრი წყარო)-ავტო-სარემონტო ქარხანა — 2:2.

### II ქვეჯგუფი

**10 სექტემბრის მატჩები:** ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ოჩხამური)-„სპარტაკი“ (ცხაკაია) — 0:VV; სას. სამ. ინსტ. (თბილისი)-„ტორპედო“ (გაგრა) — 1:2; ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა (ოვშქ) (თბილისი) - „განთიადი“ (ლანჩხუთი) — 0:2; გამამდიდრებელი ფაბრიკა (ტყვარჩელი)-„განთიადი“ (ზუგდიდი) — 2:1.

**14 სექტემბრის მატჩები:** „სპარტაკი“-სას. სამ. ინსტ. — 0:5; „ტორპედო“—ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) — 3:0; „განთიადი“ (ლანჩხუთი)-გამამდიდრებელი ფაბრიკა — 1:0; „განთიადი“ (ზუგდიდი)-ჩაის საბჭოთა მეურნეობა—2:2.

**17 სექტემბრის მატჩები:** სას. სამ. ინსტ.-ჩაის საბჭოთა მეურნეობა — 10:0; ლენინის სახ. შახტი-„სპარტაკი“ — VV:0; „განთიადი“ (ლანჩხუთი)-„განთიადი“ (ზუგდიდი) 1:0.

20 სექტემბერს გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I და II ზონის გუნდების მონაწილეობით. ფერგანის „სპარტაკმა“ საკუთარ მოედანზე მიიღო ქუთაისის „ტორპედო“. შეხვედრა დამთავრდა „სპარტაკის“ გამარჯვებით — 2:0.

* * *

ტირასპოლში თამაშობდნენ ადგილობრივი „პიშჩევიკი“ და ბათუმის „დინამო“. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა, მაგრამ შემდეგ პატარაიამ შეძლო საპასუხო გოლის გატანა და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

## დუბლიორთა მატჩი

გუშინ, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა თბილისისა და მოსკოვის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა დუბლშემადგენლობათა მატჩი XI-XXII ადგილებისათვის.

შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 3:1. ბურთები გაიტანეს: ხუნდაძემ, ვეკუამ და მაისურაძემ.

## ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

გაიმართა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა სამი საკითხი: ოსტატთა გუნდებთან არსებული ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრების შედეგების, ამ შეჯიბრებათა ჩატარების სისტემის შეცვლისა და ქალაქებისა და რესპუბლიკების ახალგაზრდული ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრების ორგანიზაციის საკითხები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ აუცილებელია შეიცვალოს ოსტატთა გუნდებთან არსებული ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრების ჩატარების სისტემა. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია შეჯიბრების პირველი ეტაპის (შეხვედრები ზონებში) ჩატარება დაევალოს ფეხბურთის რესპუბლიკურ ფედერაციებს, ხოლო საკავშირო შეხვედრები ჩაატაროს არა სამ ეტაპად, როგორც ეს ადრე იყო, არამედ ორ ეტაპად — ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები. კომისიამ დაადგინა საკავშირო შეჯიბრებათა ჩატარების ეს სისტემა დასამტკიცებლად წარედგინოს ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმს.

გასულ წელს დიდი წარმატებით ჩატარდა ქალაქებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრები. კომისიამ გადაწყვიტა ამგვარი შეჯიბრებები მიმდინარე წელს გაიმართოს ოქტომბერში და მასში მონაწილეობა მიიღონ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და უზბეკეთის გუნდებმა.



სურათზე თქვენ ხედავთ სახელგანთქმულ ამერიკელ მძლეოსან ქალს, რომის ოლიმპიური თამაშების 3 ოქროს მედლის მფლობელს ვილმა რუდოლფს. მისთვის მიმდინარე წლის სეზონსაც არ ჩაუვლია უქმად.

ახლა საჭიროა ზამთრის სპორტულ სეზონზე ფიქრი, დახურულ შენობებში მაღალი შედეგებისათვის ბრძოლა. მაგრამ ვინ იცის, ვილმა ამის გარდა სხვაზეც ფიქრობს — მომავალ ცხოვრებაზე, რომელიც არც თუ ისე სახარბიელოა იმისთვის, ვინც ამჟამად ძლიერია, ყველა თაყვანს სცემს, მაგრამ... და ეს მაგრამ აფიქრებს ოლიმპიურ ჩემპიონს.

## ლასლო პაპი კვლავ რინგზეა

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლასლო პაპი (უნგრეთი) დიდი წარმატებით იბრძვის ევროპის ქვეყნების უძლიერეს პროფესიონალურ მოკრივეებთან. მან გადაწყვიტა მატჩი გამართოს ევროპის ჩემპიონთან, ამიტომ ინტენსიურად ემზადება ამ მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრისათვის. პაპმა გამოიწვია ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე საშუალო წონაში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონი პეტერ მიულერი.

10 ათასი მაყურებელი მოვიდა ამ მატჩზე, რომელიც ქ. კელნში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გაიმართა, გერმანელმა პაპს ცხარე ტემპი შეთავაზა, მაგრამ პირველივე რაუნდში გამოაშკარავდა, რომ მიულერი კარგად ვერ იცავდა თავს პაპის საყვარელი დარტყმებისაგან მარჯვნიდან. პირველ რაუნდში პაპმა ერთგვარ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ გერმანელი მედგრად განაგრძობდა ბრძოლას. მეორე რაუნდში ბრძოლა კიდევ უფრო გაცხარდა და ახლა უპირატესობა მიულერის მხარეს იყო, იგი შეტევაზე გადავიდა, მაგრამ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ოსტატურად დაიცვა თავი და უკუაგდო მეტოქე.

ყველაზე საინტერესო გამოდგა მეოთხე რაუნდი, როდესაც მეტოქეები ახლო ბრძოლაზე გადავიდნენ. აქ პაპმა [illegible] მეტოქე და მატჩის ბოლომდე უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა, თუმცა [illegible] მეხუთე რაუნდში მიულერმა თვალი დაიზიანა და შეწყვიტა წინააღმდეგობა.

## ანგარიშია 12:8

ზალცბურგში ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქის ნაკრები და ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი „დუბნიცა“, რომლის შემადგენლობაში იყო ეროვნული ნაკრების ექვსი მოკრივე. ყველასათვის მოულოდნელად გაიმარჯვეს ავსტრიელებმა ანგარიშით 12:8. ამასთანავე გაზეთ „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმეს“ მიმომხილველი ხაზს უსვამს დაბალი ხარისხის მსაჯობას. საშუალო წონის მოკრივეების ფრაუენლობის (ავსტრია) და გაბალეკის (ჩეხოსლოვაკია) მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ მსაჯებმა უსაფუძვლოდ ჩაუთვალეს დამარცხება ჩეხოსლოვაკელს.

რედაქტორი ი. უგულავა.


# დღეს!

კალათბურთი

საერთაშორისო შეხვედრა

ქალები

„ბურევესტნიკი“ (თბილისი)-რუმინეთი (ნაკრები)

ვაჟები

„დინამო“ (თბილისი)-რუმინეთი (ნაკრები)

დასაწყისი 20 საათზე.

# 24 სექტემბერი

საერთაშორისო შეხვედრა

ქალები

ქ. თბილისის (ნაკრები)-რუმინეთი (ნაკრები)

ვაჟები

„ბურევესტნიკი“ (თბილისი)-რუმინეთი (ნაკრები)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

# 25 სექტემბერი

სსრ კავშირის პირველობა

„დინამო“ (თბილისი)-სკიფი (კიევი)

დასაწყისი 20 საათზე.





# 24-27

სექტემბერი

ფიზკულტურელის პარკი

# წყალში ხტომა

რესპუბლიკის სპორტკავშირის ჯილდოზე

დასაწყისი 24 სექტემბერს — 13 საათზე. დანარჩენ დღეებში 16 საათზე.


საზღვარგარეთის ამბები

# სანტიაგო ბარნაბეუს „მეთოდები“

„რეალის“ პატრონი ბარნაბეუ კვლავ იძენს ახალ-ახალ ფეხბურთელებს, რომელთა უმეტესობას საერთოდ არ უხდება მოედანზე გამოსვლა. მაგრამ ეს ბარნაბეუს ნაკლებად აწუხებს. მთავარია, რომ ისინი „ბარსელონამ“, „ატლეტიკომ“ და „რეალის“ სხვა მეტოქეებმა არ გამოიყვანონ. უკანასკნელ ხანებამდე „რეალს“ ჰყავდა სამი მეკარე: ვისენტე (ესპანეთის ნაკრების ახლანდელი მეკარე), დომინგესი (არგენტინის ნაკრების ყოფილი მეკარე), ალონსო (ესპანეთის ნაკრების ყოფილი მეკარე), რომელთაც დაემატა არაკისტაინი ბილბაოს „ატლეტიკოდან“. ამ შესყიდვის ერთადერთი მიზანია ბასკთა გუნდის დასუსტება, რადგან არაკისტაინი „რეალს“ არ სჭირდება. იგივე ითქმის გუნდში ესპანეთის ნაკრების გარემარბ ტეხადას (მარტინესის) ჩარიცხვაზე. „ბარსელონადან“ ტეხადას „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში თამაშის მცირე შანსები აქვს. მაგრამ აქ მთავარია „ბარსელონას“ დასუსტება, რომელმაც წელს დაითხოვა თავისი უცხოელი „მოქირავეები“ ვილაველდე, კუბალა, კოჩიში, ციბორი (მათთან ხელშეკრულება არ იქნა განახლებული) და ამავე დროს დაკარგა უძლიერესი ფორვარდი სუარესი.

„რეალის“ მწვრთნელი მუნოზი თავდასხმაში სისტემატურად ათამაშებს სტაბილურ შემადგენლობას (კანარიო, დელ სოლი, დი სტეფანო, პუშკაში, ჰენტო), ხოლო დანარჩენი ფორვარდები — სიმონსონი, მათეოსი, ჰერერა, ბუენო, ტეხადა, სილვიერა მაყურებლების როლში გამოდიან.

ბარნაბეუს მიმდინარე სეზონში დიდი გეგმები აქვს. სხვისი ხელით „ნარის გლეჯამ“ გუნდს უნდა შეუნარჩუნოს ესპანეთის ჩემპიონობა, მოუპოვოს ესპანეთის თასი, რომელიც გასულ სეზონში მადრიდის „ატლეტიკოს“ დარჩა და, რაც მთავარია, დაუბრუნოს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, რომელიც „მოსტაცა“ მუდმივმა მტერმა „ბარსელონამ“ (რათა მოგვიანებით იგი „ბენფიკასათვის“ ჩაებარებინა). ამჟამად „ბარსელონა“ რიგითი ესპანური კლუბი გახდა (ყველა „ვარსკვლავთაგან“ მას შემორჩა მხოლოდ ბრაზილიელი ცენტრფორვარდი ევარისტო) და მის ახალგაზრდა მოთამაშეებს აღარ შესწევთ ძალა გაუძლონ „რეალის“ უცხოელთა ლეგიონს. დასუსტდა მადრიდის „ატლეტიკოც“, რომლის განთქმული ცენტრფორვარდი ბრაზილიელი ვავა სამშობლოში დაბრუნდა და ამჟამად სან-პაულუს „პალმეირასში“ თამაშობს. ვავას გარეშე „მოიკოჭლებენ“ გუნდის დანარჩენი „ვარსკვლავები“ ბრაზილიელი მენდოსა (№ 10) და ესპანეთის ნაკრების ყოფილი მოთამაშე კოლარი (№ 11), ასე, რომ „რეალს“ აქედანაც არ მოელის საფრთხე. ბილბაოს „ატლეტიკო“, რომელმაც შარშან დაკარგა ცნობილი ცენტრალური მცველი გარაი (იგი „ბარსელონამ“ შეიძინა), ხოლო წელს არაკისტაინი, ასევე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა.

ამგვარად, დონ სანტიაგო ბარნაბეუს, რომელიც მითოლოგიურ მეფე კრეზივით მდიდარია, მიაჩნია, რომ მიაღწია ყველა თავისი ძირითადი მეტოქის „გაკოტრებას“. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც იწყება ახალი სეზონი, რომელშიც ახალგაზრდა და გამოუცდელი მეტოქეების შემუსვრა ევალება „რეალის“ გვარდიას.

## საჭიროა 12 მილიონი იენი

იაპონიის დედაქალაქში გაცხოველებული მზადებაა XVIII ოლიმპიური თამაშებისათვის. იმისათვის, რომ ყველაფერი გაკეთდეს, საჭიროა 12 მილიონი იენი. ტოკიოში აშენდება სპორტის სასახლე, უკვე დამთავრდა 3 საცურაო აუზის მშენებლობა, რომელთაგან ყველაზე დიდი შეიძლება გამოყენებულ იქნას კრივში ან ძალოსნობაში გამართული შეჯიბრებებისათვის. აუზს გადახურავენ სპეციალური სახურავით და 25 ათასი მაყურებელი საინტერესო ბრძოლების მოწმე გახდება. ტოკიოსა და მის გარეუბანში აშენდება რამდენიმე სასტუმრო, ოლიმპიური სოფელი, სადაც დაბინავდება ოლიმპიადის მონაწილენი.

ზემოთაღნიშნული თანხის ერთი მესამედი გაიღო იაპონიის მთავრობამ, დანარჩენს — გაიღებს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი და ახლახან შექმნილი იაპონიის ოლიმპიური საზოგადოება, რომელიც ეწევა სპორტული ლატარეების, სუვენირების, საფოსტო მარკების გაყიდვას, შეწირვების შეგროვებას და სხვ.

მასიური სპორტული ნაგებობების ნაცვლად, როგორებიც აგებულ იქნა რომში, იაპონელმა ინჟინრებმა გადაწყვიტეს აიგონ მსუბუქი შენობები.

## გერმანიის ორივე ნაწილის სპორტსმენთა მონაწილეობით

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაიწყო ჩემპიონატის პირველი ეტაპი — შეჯიბრება ზონებში, პირველი ლიგის 64 გუნდიდან მხოლოდ ორს — რესპუბლიკის ექს-ჩემპიონ „ჰამბურგერ შპორტფერაინსა“ და „ბორუსიას“ არ დაუკარგავს არც ერთი ქულა. მაგრამ სამი მატჩის მოგება „ჰამბურგს“ მეტად ძვირად დაუჯდა. უკანასკნელ თამაშში იგი შეხვდა თავის ქალაქის გუნდს „კონკორდიას“ და დაამარცხა — 4:3. აქ ყურადღებას იპყრობს ის ატმოსფერო, რომელიც მოედანზე იყო. „კონკორდიამ“ მწყობრიდან გამოიყვანა „ჰამბურგის“ 4 (!) მოთამაშე, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში შედიან.

გაზეთი „ინტერნაციონალეს შპორტეხო“ ხაზს უსვამს „კონკორდიას“ ფეხბურთელთა არასპორტულ მოქმედებას და აღნიშნავს, რომ „ჰამბურგს“ ძალღონის დაძაბვა მოუხდება წამყვანი პოზიციის შესანარჩუნებლად.


# დღეს ფეხბურთი

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

სსრ კავშირის თასზე

„დინამო“ (თბილისი) -

„ავანგარდი“ (ხარკოვი)

დასაწყისი 16 ს. 30 წ.


გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05665